ბრძანება N 04/120

120-01-4-202108061709

06/08/2021

„მონდელიზ ნიდერლანდ სერვისის ბი. ვი.“-სა (Mondelez Nederland Services B.V.) და „ჩიპიტა ინდასთრიალ ქომერშიალ ქომფანი ეს. ეი.“-ს (Chipita Industrial and Commercial Company S.A.)
შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის
კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს მე-11 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტების, 11[1] მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის და სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-20 მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „გადაწყვეტილება „მონდელიზ ნიდერლანდ სერვისის ბი. ვი.“-სა (Mondelez Nederland Services B.V.) და „ჩიპიტა ინდასთრიალ ქომერშიალ ქომფანი ეს. ეი.“-ს (Chipita Industrial and Commercial Company S.A.) შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ“ თანდართული სახით;

2. „მონდელიზ ნიდერლანდ სერვისის ბი. ვი.“-სა (Mondelez Nederland Services B.V.) და „ჩიპიტა ინდასთრიალ ქომერშიალ ქომფანი ეს. ეი.“-ს (Chipita Industrial and Commercial Company S.A.) შორის განსახორციელებელი კონცენტრაცია მიჩნეულ იქნეს კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად;

3. გადაწყვეტილება გაეგზავნოთ შეტყობინების საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში წარმომდგენ ეკონომიკურ აგენტებს;

4. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს კონკურენციის სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ანოტაციის ფორმით, სახელმწიფო, კომერციულ, პროფესიულ, პერსონალურ ან საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით;

5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64);

6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე

გადაწყვეტილება

„მონდელიზ ნიდერლანდ სერვისის ბი. ვი.“-სა (Mondelez Nederland Services B.V.) და „ჩიპიტა ინდასთრიალ ქომერშიალ ქომფანი ეს. ეი.“-ს (Chipita Industrial and Commercial Company S.A.)
შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის
კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

I. ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში, 2021 წლის 1 ივლისის N01/1040 წერილით შემოვიდა შეტყობინება ეკონომიკურ აგენტთა - „მონდელიზ ნიდერლანდ სერვისის ბი. ვი.“-სა (Mondelez Nederland Services B.V.) და „ჩიპიტა ინდასთრიალ ქომერშიალ ქომფანი ეს. ეი.“-ს (Chipita Industrial and Commercial Company S.A.) მოსალოდნელი კონცენტრაციის შესახებ.

<u>შეტყობინება მოიცავდა კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი ფორმით მოთხოვნილ ინფორმაციას მოსალოდნელი კონცენტრაციის შესახებ:</u>

- ზოგადი მონაცემები კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების შესახებ;
- ზოგადი ინფორმაცია კონცენტრაციის შესახებ - ფორმა, მიზანი, დრო;
- ეკონომიკურ აგენტთა მახასიათებლები - კონცენტრაციის მხარეების წილის მფლობელები, დაკავშირებული კომპანიები, კორპორატიული სტრუქტურა, ოპერაციები საქართველოს ტერიტორიაზე, წლიური ბრუნვები 2020 წელს;
- კონცენტრაციის დეტალური აღწერა - შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა; მეთოდოლოგია, რომლითაც იხელმძღვანელეს შესაბამისი ბაზრის განსაზღვრისას; უახლოესი 24 თვის ეკონომიკური და ბიზნეს-გეგმა; მონაწილე სუბიექტთა საბაზრო წილები; პროდუქტები, რომელთა რეალიზაციაც ხორციელდება მხარეების მიერ; ინფორმაცია კონცენტრაციის დადებითი და უარყოფითი ზეგავლენის შესახებ, კონცენტრაციის მოსალოდნელი შედეგების აღწერა; საკითხები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტაზე და რაზეც უნდა იქნეს სააგენტოს მიერ ყურადღება გამახვილებული.

<u>შეტყობინებას თან ახლდა დანართები:</u>

- კონცენტრაციის მონაწილე სუბიექტების კორპორატიული სტრუქტურა დიაგრამის სახით;
- „ჩიპიტა ბულგარეთი ეად თბილისის ფილიალის“ სტრუქტურა დიაგრამის სახით;
- საქართველოში მხარეების საბაზრო წილების შესახებ ინფორმაცია;
- კონცენტრაციის მონაწილე სუბიექტების პროდუქციის ასორტიმენტი;
- 2021 წლის 26 მაისის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება („მონდელიზ ნიდერლანდ სერვისის ბი.ვი.“-ს, შპს „ქომფეთროლ ესთაბლიშმენთ საიფრუსს“, შპს „ქრაირედ ინვესთმენთს“, სხვა დამატებითი გამყიდველებს და „სპირიდონ თეოდოროპულოსს“ შორის); „ჩიპიტასთან“ დაკავშირებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება (ინგლისურ ენაზე და ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი);

- 2021 წლის 8 აპრილს „მონდელიზ ნიდერლანდ სერვისის ბი.ვი.“-ს მიერ მარიამ ხაჩიძეზე (პ/ნ 01017036929) და არჩილ ბეგიაშვილზე (პ/ნ 01024072085) გაცემული მინდობილობის (აპოსტილის ნომერი N019100) ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი.
-

ინფორმაცია კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების შესახებ:

- „მონდელიზ ინთერნეიშენელ, ინქ.“ (შემდგომში - „მონდელიზი“), რომლის შვილობილი კომპანიაა „მონდელიზ ნიდერლანდ სერვისის ბი. ვი.“, (შემდგომში „მყიდველი“), წარმოადგენს წასახემსებელი პროდუქტების მწარმოებელ კომპანიას. წარმოებული პროდუქცია მოიცავს ორცხობილებს, შოკოლადს, საღეჭ რეზინს, ტკბილეულობას, ყველს და ფხვნილიან სასმელებს. „მყიდველი“ საქართველოში ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებს შპს „მონდელიზ საქართველოს“ მეშვეობით, რომელიც წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულ და მოქმედ კომპანიას (ს/კ 404894575). საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობიდან, „მონდელიზის“ ბრუნვა 2020 წელს შეადგენდა [redacted] აშშ დოლარს. შპს „მონდელიზ საქართველო“, საქართველოში პროდუქციის მიწოდებას ახორციელებს მხოლოდ კონკრეტულ სადისტრიბუციო კომპანიაზე - შპს „მეგაკო“-ზე (ს/კ 204875108).

- „ჩიპიტა ინდასთრიალ ქომერშიალ ქომფანი ეს. ეი.“ (შემდგომში „ჩიპიტა“) წარმოადგენს ბრენდირებული შესაფუთი კრუასანების და სხვა, ძირითადად გამოცხობილ პურზე დაფუძნებული წასახემსებელი პროდუქტების მწარმოებელ მულტინაციონალურ კომპანიას, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მარკეტინგულ საქმიანობას ახორციელებს მისი რეგისტრირებული არაპირდაპირი შვილობილი კომპანიის, სააქციო საზოგადოება „ჩიპიტა ბულგარეთი ეად“-ის საქართველოში რეგისტრირებული ფილიალის მეშვეობით. ფილიალი რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საიდენტიფიკაციო ნომრით - 405368392. ქვეყანაში „ჩიპიტას“ პროდუქციის იმპორტითა და საბითუმო მიწოდებით დაკავებულია შპს „დიპლომატ ჰოლდინგი“ (ს/კ 204987862). საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობიდან „ჩიპიტას“ ბრუნვა 2020 წელს შეადგენდა [redacted] ევროს.

კონცენტრაციის ფორმა:

შეტყობინება უკავშირდება „მონდელიზის“ მიერ მის სრულ მფლობელობაში მყოფი შვილობილი კომპანიის, „მონდელიზ ნიდერლანდ სერვისის ბი. ვი.“-ს მეშვეობით, შპს „ქომფეთროლ ესთაბლიშმენთ საიფრუსის“, შპს „ქრაირედ ინვესთმენთსი“-სგან და სხვა გამყიდველებისგან, „ჩიპიტა ინდასთრიალ ენდ ქომერშალ ქომფანი ეს. ეი“-ზე და მის პირდაპირ და არაპირდაპირ კონტროლს დაქვემდებარებულ შვილობილ კომპანიებზე დაგეგმილ ერთპიროვნული კონტროლის მოპოვებას (შემდგომში „ტრანზაქცია“).

კონცენტრაციის მხარეები:

- მყიდველის - „მონდელიზ ნიდერლანდ სერვისის ბი. ვი.“-ს მფლობელია „მონდელიზ ინთერნეიშენელ, ინქ.“, რომელიც რეგისტრირებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში. „მონდელიზს“ ბოლო 3 წლის განმავლობაში საქართველოში კონცენტრაციის შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებისგან წილი არ შეუძენია.

- „ჩიპიტას“ მესაკუთრეებს წარმოადგენენ - შპს „ქომფეთროლ ესთაბლიშმენთ საიფრუსი“ (კვიპროსი), შპს „ქრაირედ ინვესთმენთსი“ (კვიპროსი), 24 დამატებითი აქციონერი, რომლებიც ჯამში ფლობენ „ჩიპიტას“ სააქციო კაპიტალის 8,5%-ს და რომელთაგან არცერთი არ ფლობს 5%-ზე მეტს. „ჩიპიტას“ ბოლო 3 წლის განმავლობაში საქართველოში კონცენტრაციის შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებისგან წილი არ შეუძენია.

შეტყობინების წარმომდგენი, წასახემსებელი პროდუქტების ბაზარს განიხილავს ერთიან სასაქონლო ბაზრად, თუმცა უშვებს შესაძლებლობას, ბაზრის შედარებით ვიწრო სეგმენტაციის შესახებ - წასახემსებელი პროდუქტის თითოეული ტიპის მიხედვით: დილის პროდუქტები (მოიცავს კრუასანებს); შეფუთული ნამცხვრები; ტკბილი ორცხობილები; პიკანტური წასახემსებლები; ტკბილი სპრედები (მოიცავს შოკოლადის სპრედს); ვაფლის ორცხობილები.

განმცხადებლის ინფორმაციით საქართველოში ბიზნეს მოდელის ცვლილება არ იგეგმება, კერძოდ, Chipita Industrial and Commercial Company S.A. გააგრძელებს პროდუქციის იმპორტს და საბითუმო მიწოდებას შპს „დიპლომატ ჰოლდინგის“ მეშვეობით, ხოლო შპს „მონდელიზ საქართველო“ პროდუქციის საბითუმო მიწოდებას შპს „მეგაკოზე“.

შეტყობინების წარმომდგენი პირი ვარაუდობს, რომ (ა) „ტრანზაქციას“ არ ექნება უარყოფითი შედეგი შესაბამისი ბაზრის კონკურენტულ გარემოზე, მეტიც, „მყიდველის“ მიერ „ჩიპიტას“ შეძენით მისაღები სარგებელი, საბოლოოდ დადებითად აისახება მომხმარებლებზე. მომხმარებლის სარგებელი შეიძლება წარმოიშვას პროდუქტებზე გაუმჯობესებული წვდომიდან გამომდინარე, რაც დისტრიბუციის ქსელის გაფართოების თანმდევი შედეგი იქნება. მოსალოდნელია პროდუქციის მრავალფეროვნების გაზრდაც; (ბ) „ტრანზაქცია“ არ გამოიწვევს კონცენტრაციას შესაბამის ბაზარზე და ის არ შეამცირებს კონკურენციას საქართველოს ბაზარზე, შემდეგი მიზეზებიდან გამომდინარე: 1. „ტრანზაქცია“ ძირითადად უკავშირდება შემავსებელ პროდუქტებს და მხარეები არ არიან ერთმანეთის ახლო კონკურენტები; 2. კომბინირებული ბაზრის წილები არის შეზღუდული იმ სეგმენტებში, სადაც მხარეებს აქვთ გადაფარვა; 3. გაერთიანების შედეგად შექმნილი სუბიექტი კვლავ კონკურენციის რეჟიმში დარჩება ძირითად ადგილობრივ და საერთაშორისო მწარმოებლებთან; 4. ბაზარზე შესვლის ბარიერები არის ძალიან დაბალი - ნამცხვრები და ტკბილი ორცხობილები არ წარმოადგენენ რთულ პროდუქტებს და მათი კომერციალიზაციაც შედარებით მარტივია. ამასთან, არსებოს მრავალი გარე მწარმოებელი, რომლებთანაც შესაძლებელია წარმოების კონტრაჰირება, რაც საშუალებას აძლევს ახალ მწარმოებლებს, გაზარდონ წარმოების მოცულობა შედარებით დაბალ ფასად. ასევე, მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ბაზარზე შესვლის მნიშვნელოვან სამართლებრივ ბარიერებს.

<u>პროდუქციის ასორტიმენტი, რომელთა რეალიზაციაც ხორციელდება საქართველოში:</u>

„ჩიპიტას“ პროდუქცია:

- კრუასანები („სევენ დეის“, „ჩიპიკაო“ (საბავშვო))
- ნამცხვრები:
    - ➢ ბისკვიტი („სევენ დეისი“)
    - ➢ შვეიცარიული რულეტი („სევენ დეისი“)
- ტკბილი ორცხობილები („სევენ დეის“)
- ვაფლის ორცხობილები („ფინეტი“, „ფინეტის ჩხირები“)
- ტკბილი სპრედებისა და ჩხირების ჰიბრიდი („ფინეტი დიპსი“)

„მონდელიზის“ პროდუქცია:

- ნამცხვრები:
    - ➢ „ბარნი“
    - ➢ „მილკა“
- ტკბილი ორცხობილები („ბელვიტა“, „მილკა“, „ორეო“, „საიუბილეო“)
- ვაფლის ორცხობილები („მილკა ვაფელინი“)
- პიკანტური წასახემსებლები („ტუკი“ პიკანტური სხვადასხვა არომატის (მარილიანი, ბეკონის, წიწაკის, ყველის, ყველის სენდვიჩის, ბარბექიუს, არაჟანი და ხახვის, ნიორი და მწვანილის, მარილი და პილპილის) ორცხობილები).

II. სამართლებრივი მიმოხილვა

წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის შეტყობინების წარდგენის, განხილვისა და სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მატერიალური და პროცედურული საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ: „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „სსიპ კონკურენციის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N288 დადგენილებით, „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით, „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით და სხვა.

სააგენტოსათვის წინასწარ შეტყობინებასა ექვემდებარება კონცენტრაცია, რომელიც ერთობლივად აკმაყოფილებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 და მე-11[1] მუხლების მოთხოვნებს.

1. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია კონცენტრაციის განმარტება, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრება ის უფლებები, რომელიც გამოიყენება კონცენტრაციის მიზნებისთვის კონტროლის განსახორციელებლად;
2. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 დ მე-4 პუნქტების შესაბამისად, კონცენტრაცია, რომელიც არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას

საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე, თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან, ხოლო კონცენტრაცია, რომელიც არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე, დაუშვებელია.

3. „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-3 მუხლის მიხედვით, სააგენტოსათვის წინასწარ სავალდებულო წერილობით შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, თუ მისი მონაწილე ეკონომიკური აგენტების ერთობლივი (ჯამური) წლიური ბრუნვა საქართველოს ტერიტორიაზე, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის წინა ფინანსური წლის მდგომარეობით, აღემატება 20 მილიონ ლარს და ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი ეკონომიკური აგენტიდან თითოეულის წლიური ბრუნვა აღემატება 5 მილიონ ლარს.
4. კანონის მე-11[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს მიერ კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვისთვის დაწესებული საფასური შეადგენს 5 000 ლარს.
5. კანონის მე-11[1] მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, თუ დაგეგმილი კონცენტრაცია ექცევა კანონის რეგულირების სფეროში, სააგენტო კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვას იწყებს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ და ამ დოკუმენტის წარდგენიდან არაუგვიანეს 25 სამუშაო დღისა, ვალდებულია განიხილოს და მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ;

ბ) კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ, თუ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ შესაძლებელია დაგეგმილი კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადი არ იყოს ან თუ, საქმის სირთულიდან გამომდინარე, საჭიროა შესაბამისი საკითხის დამატებით შესწავლა.

სააგენტოს მიერ აღნიშნულ ვადაში ერთ-ერთი გადაწყვეტილების მიუღებლობა დადებით პასუხად მიიჩნევა.

6. კანონის მე-11[1] მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინება განიხილოს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა. ამ ვადაში სააგენტოს მიერ აღნიშნულ შეტყობინებაზე პასუხის გაუცემლობა დადებით პასუხად მიიჩნევა.
7. იმ ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციის რეგისტრაციისთვის, რომლებსაც ეკისრებათ ამ კანონის 11[1] მუხლით განსაზღვრული კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების ვალდებულება, აუცილებელია არსებობდეს სააგენტოს გადაწყვეტილება მოსალოდნელი კონცენტრაციის კონკურენტული ეფექტის შესახებ. სააგენტოს მიერ უარყოფითი დასკვნის გაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ეკონომიკური აგენტის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია.
8. კანონის მე-11[1] მუხლის მე-6 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული ვადების ამოწურვამდე ან სააგენტოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია. სააგენტოს მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია.

9. „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 და „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებებით დამტკიცებული კანონქვემდებარე აქტებით განისაზღვრება დაგეგმილი კონცენტრაციის შეფასების საკითხები. აღნიშნული აქტები მოიცავს, როგორც სასაქონლო ბაზრის, ასევე დაგეგმილი კონცენტრაციის შეფასების პრინციპებს, შეფასების მეთოდებსა და კრიტერიუმებს.
10. კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ან/და კონკრეტული ოპერაციის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციის) წარდგენა, რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის“.

III. ბაზრის ანალიზი

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-5 მუხლის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი სამი პარამეტრის მეშვეობით:

ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;

ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;

გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები

ა) პროდუქციული საზღვრები

შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.

კონცენტრაციის წარმომდგენი მხარის პოზიციით, კონცენტრაციაში მონაწილე მხარეების მიერ მომხმარებლისთვის შეთავაზებული პროდუქცია ექცევა ერთ საერთო შესაბამის ბაზარში - წასახემსებელი პროდუქციის ბაზარი, შესაბამისად წარმოდგენილი ასორტიმენტი წარმოადგენს ურთიერთჩამანაცვლებელ პროდუქციას. თუმცა, ამავდროულად, განმცხადებელი მიუთითებს, რომ მხარეების მიერ ქვეყანაში რეალიზებული პროდუქცია ერთმანეთისგან განსხვავებულია და კონცენტრაციის განხორციელების შედეგად, „მონდელიზს“ მიეცემა შესაძლებლობა, პოზიციონირება გააძლიეროს იმ მიმართულებით, რა კუთხითაც ის ბაზარზე არ არის წარმოდგენილი.

მხარეების მიერ მომხმარებლისთვის შეთავაზებული პროდუქციის ასორტიმენტით ირკვევა, რომ „მონდელიზის“ მიერ არ ხორციელდება „კრუასანების“ რეალიზაცია, ხოლო „ჩიპიტას“ პროდუქციის ასორტიმენტი არ მოიცავს „პიკანტურ წასახემსებლებს“. დამატებით, კონცენტრაციაში მონაწილე მხარეების პროდუქცია ერთმანეთისგან განსხვავდება სამიზნე მომხმარებლის ასაკობრივი კატეგორიების მიხედვითაც.

განმცხადებლის მიხედვით, „ჩიპიტას“ მიერ საქართველოში დაგენერირებული შემოსავლის [redacted]%-ს წარმოადგენს კრუასანების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი. მსგავსი პროდუქციის რეალიზაცია არ ხორციელდება შემძენის - „მონდელიზის“ მიერ.

კონცენტრაციის მონაწილე მხარეების პროდუქცია, სამომხმარებლო თვისებების გათვალისწინებით - „წასახემსებელი პროდუქტები“, აკმაყოფილებს ჩანაცვლებადობის ზოგად კრიტერიუმებს, თუმცა ასევე ხასიათდება რიგი თავისებურებებით, რაც რიგ შემთხვევებში შესაძლოა გახდეს ცალკე პროდუქციული ბაზრის ფორმირების საფუძველი. განსახილველ შემთხვევაში, **სააგენტო ბაზარზე კონცენტრაციის დონეს აფასებს „წასახემსებელი პროდუქტების“ დონეზე**, თუმცა ამავდროულად ეყრდნობა ევროკომისიის გამოცდილებას - მსგავს შემთხვევებში ბაზრის უფრო ვიწრო სეგმენტაციის საჭიროების არარსებობისას შესაბამისი ბაზრის დეტალური განსაზღვრის საკითხის ღიად დატოვების შესახებ.[1]

ბ) გეოგრაფიული საზღვრები

პროდუქციის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, გეოგრაფიულ საზღვრებად განისაზღვრა ეროვნული დონე.

გ) დროითი ჩარჩო

პროდუქციის მიწოდება არ ხასიათდება სეზონურობით, შესაბამისად, ბაზარს არ გააჩნია კონკრეტული დროითი ჩარჩო.

<u>ბაზრის მოცულობა და კონცენტრაციის ინდექსი:</u>

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, შესაბამისი სასაქონლო ბაზრის მოცულობა შესაძლებელია განისაზღვროს ქვეყანაში წარმოებული, ქვეყნიდან ექსპორტირებული და იმპორტირებული საქონლის მოცულობების გათვალისწინებით.

ქვეყანაში წასახემსებელი პროდუქტების მწარმოებელი ეკონომიკური აგენტების შესახებ ინფორმაცია გამოთხოვილ იქნა საქართველო სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან,[2] ხოლო იმპორტიორი ეკონომიკური აგენტებისა და შესაბამისი მოცულობების - სსიპ შემოსავლების სამსახურიდან.[3] მწარმოებელი ეკონომიკური აგენტების 2020 წლის ბრუნვის იდენტიფიცირება განხორციელდა შემოსავლების სამსახურის „გადასახადების ადმინისტრირების სისტემა - „ORACLE“-ს მეშვეობით (დღგ-ს ყოველთვიური დეკლარაციები).[4]

შესაბამისი ანალიზის განხორციელების შედეგად, დადგინდა, რომ 2020 წელს, იმპორტის ბაზრის მოცულობა შეადგენდა - 132 103 805 ლარს, წარმოების ბაზრის მოცულობა - 83 469 363 ლარს, ხოლო ექსპორტის - 582 847 ლარს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ბაზრის მოცულობამ

[1] https://ec.europa.eu/competition/mergers/cases/decisions/m2529_en.pdf
https://ec.europa.eu/competition/mergers/cases/decisions/m232_en.pdf
https://ec.europa.eu/competition/mergers/cases/decisions/jv32_en.pdf

[2] სააგენტოს 2021 წლის 12 ივლისის N02/344 წერილი
[3] სააგენტოს 2021 წლის 12 ივლისის N02/345 წერილი
[4] ინფორმაცია მხოლოდ დღგ-ს გადამხდელი ეკონომიკური აგენტების შესახებ

შეადგინა - 214 990 321 ლარი. შპს „მონდელიზ საქართველოს“ წილმა ბაზარზე შეადგინა [redacted]%, ხოლო Chipita Industrial and Commercial Company S.A.-ის წილმა [redacted]% (შპს „დიპლომატ ჰოლდინგი).

ბაზრის კონცენტრაციის HHI ინდექსმა შეადგინა 383.25 ერთეული - რაც დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. კონცენტრაციის განხორციელების შედეგად, HHI ინდექსი შეადგენს 416.4 ერთეულს, რაც ასევე დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია (**ΔHHI 33.2).**

IV. სააგენტოს დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ დაადგინა, რომ „მონდელიზ ნიდერლანდ სერვისის ბი. ვი.“-ისა და „ჩიპიტა ინდასთრიალ ქომერშიალ ქომფანი ეს. ეი.“-ს შორის დაგეგმილი კონცენტრაცია, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე და თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან. კერძოდ, განსახილველი სასაქონლო ბაზარი, HHI ინდექსის გათვალისწინებით, დაბალკონცენტრირებულია და კონცენტრაციის შედეგად ადგილი არ აქვს აღნიშული მაჩვენებლის არსებით ცვლილებას.